

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №

--ივნისი 2022 წელი

ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.132.016355) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს ახალი, თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2022 წლის 30 მაისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

რამაზ ჯინჭარაძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკრებულოს დადგენილების პროექტი

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №7 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი, მიზანი და არსი:

წინამდებარე პროექტის მიღება განპირობებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობის რაოდენობის შემცირებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობისა და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რაოდენობის გაზრდით. აღნიშნულის თანახმად მიზანშეწონილია შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

დადგენილების საშტატო ერთეულში ფრაქციის თავმჯდომარის რაოდენობა ნაცვლად 5 ერთეულისა განისაზღვროს 3 ერთეულით, დადგენილების საშტატო ერთეულში დაემატოს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის თანამდებობა და საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის საშტატო ერთეული ნაცვლად 5 -სა განისაზღვროს 10 ერთეულით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ხარჯები გათვალისწინებულია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან:

გ) დადგენილების პროექტი შესაბამისობაშია უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, სპეციალისტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო ეკონომიკური განვითარებისა და იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილების უფროსი
ირაკლი თავართქილაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირების, საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო და საშტატო ნუსხა

№	თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულის რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო (ლარი)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	5060
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	3600
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	3400
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	5	2900
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	3	2900
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	10	2000
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი			
7	პირველადი სტრუქტურული ერთეულის - აპარატის უფროსი	1	3190
8	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (შესყიდვების საკითხებში)	1	1540
9	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საბუღალტრო საკითხებში)	1	1430
10	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროტოკოლის საკითხებში)	1	1540
11	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (გენდერული თანასწორობის საკითხებში)	1	1540
იურიდიული განყოფილება			
12	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	2200
13	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	2	1540
14	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - იურისტი	1	1430
საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება			
15	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	2200
16	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1540
17	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	3	1430
მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება			
18	მეორადი სტრუქტურული ერთეულის - განყოფილების უფროსი	1	2200
19	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1540
20	მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1	1430
დარგობრივი კომისია			
21	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	5	1540
ჯამი		46	